



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თვენი

თთუენი, თუენი, ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც კალენდარული თანამიმდევრობითაა დალაგებული მთელი წლის ყოველდღიური საგალობლები. იგი მოიცავს თორმეტი თვის ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარს და სახელწოდება თ-ც აქედან მიიღო. ეს სახელწოდება ქართ. ლიტ. ისტორიაში გაჩნდა X ს. 70-იან წლებში შედგენილ ე.წ. იელის იადგარში. მასში დადასტურებული ტერმინი (სანელინადო თუენი) შეესაბამება X ს. იადგარებში (Sin 1,65) გამოყენებულ ტერმინს „სანელინადო იადგარი“, რ-იც აღნიშნავს არა მთლიანად იადგარს, არამედ მის მხოლოდ ერთ ნაწილს – სათვეო განყოფილებას, მთლიანი კრებულისათვის კი გამოყენებულია სახელწოდება იადგარი. X ს. იადგარებისა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თ-ის სტრუქტურისა და ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის შედარება ცხადყოფს, რომ თ., როგორც დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული კრებული, ჩამოყალიბდა იადგარების დანაწევრების შედეგად. ეს დასტურდება თ-ის ნუსხებს დართული გიორგი მთაწმიდელის ანდერძებითაც.

გიორგი მთაწმიდელს თ. შეუდგენია რამდენიმე ბერძნ. წყაროს: პეტრენშიდის, სვიმეონშიდის, აია-სოფიას, კაუვი ეკლესიის ჰიმნოგრაფიული კრებულების მიხედვით. ბერძნულის გარდა გამოყენებული აქვს XI ს-მდე არსებული ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი. თ-ში შესატანი მასალა, რ-იც აკმაყოფილებდა მთაწმიდელის მთარგმნელობით პრინციპებს, უცვლელად არის გადმოტანილი X ს. იადგარებიდან, თუმცა შედარებულია ბერძნ. წყაროსთან და ისეა რედაქტირებული. X ს. ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარს, უცვლელად გადმოტანილს თ-ში, გიორგი მთაწმიდელმა „ქართული“ უწოდა. „ქართულად“ სახელდებულ, X ს. იადგარების სახით არსებულ მასალაში იგულისხმება აგრეთვე თ-ის I რედაქცია, რ-იც გარდამავალი საფეხურია გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თ-სა და X ს. ქართ. იადგარებს შორის. იგი შედგენილი უნდა იყოს X-XI სს. მიჯნაზე. მას საფუძვლად დაედო X ს. იერუსალიმური ტრად. იადგარები. თ-ის I რედაქცია თავისი შედგენილობით

ქართ. მოვლენაა, რ-შიც შეზავებულია ღვთისმსახურების ორი ტრადიცია – იერუსალიმური და კონსტანტინოპოლური. იგი, სავარაუდოდ შექმნილია იერუსალიმში მოღვაწე ქართვე. სას. პირთა მიერ შემქმნელ-რედაქტორად კი ექვთიმე მთაწმიდელს მიიჩნევენ. გიორგი მთაწმიდელმა თ-ის კალენდარი თავისსავე თარგმნილ კონსტანტინოპოლური სვინაქსარის კალენდარს შეუდარა და თ-ის კალენდარში (განსხვავებით სვინაქსარისაგან) შეიტანა ქართვ. წმინდანთა ხსენებები და ჰიმნოგრაფიული მასალა კერძოდ, იოანე და ექვთიმე მთაწმიდელები, ილარიონ ქართველი წმ. ნინო, იოდასაფი. წმ. ნინოს ხსენებისა და საგალობლების შეტანისას გიორგი მთაწმიდელი სარგებლობდა X ს. იადგარების მასალით, სადაც წმ. ნინოს ხსენება უკვე იყო (Sin. 59, 64; იელის იად.) იოდასაფის ხსენება კი ამ იადგარებში არ იყო შესული. იგი დასტურდება თ-ის I რედაქციაში, საიდანაც გადავიდა გიორგი მთაწმიდელის თ-ში. რადგან თ-ის I რედაქციაში იოდასაფი და საგალობელი მის სახელზე უკვე არსებობდა, გიორგი მთაწმიდელისათვის ეს იყო იმის დასტური, რომ ქართ. ეკლესია უფრო ადრე აღიარებდა იოდასაფს წმინდანად, ვიდრე საბერძნეთისა.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თ-ს XVIII ს-მდე კანონიკური ხასიათი ჰქონდა. XVIII ს-ში ალექსი მესხიშვილმა და ანტონ კათოლიკოსმა თ. შეუფარდეს რუს. ლიტურგიკულ პრაქტიკას, შეასწორეს რუს. ტიპიკონის მიხედვით; ამასთანავე შეიტანეს მასში ქართვ. წმინდანთა ხსენებები და საგალობლებიც. ანტონ კათოლიკოსის რედაქციის სამი თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი) მასალა დაიბეჭდა კიდევ.

ლიტ.: გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი), ლ. ჯღამაიას გამოც, თბ., 2007; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ახალი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თთუენისა, წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 8 თბ., 1962; კ ვ ი რ ი კ ა შ ვ ი ლ ი ლ., ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბ., 1982.

ლ. ჯღამაია
